ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N46/ს

ქ. მცხეთა 07 ივლისი 2014 წელი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N471 განკარგულების და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2014 წლის 11 აპრილის N01/1907 წერილის საფუძველზე, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გივი გიუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი „ეკოტექნოლოგია", წარმოდგენილი მისი დირექტორის შოთა ციხელაშვილის მინდობილი პირის (მინდობილობა N140136390 17.02.2014) ზაურ ციხელაშვილის სახით, შემდგომში „მომწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სოფ. მუხრანში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა- 1590 ლარი. (CPV71200000)

2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2014 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1590 (ერთიათასხუთასოთხმოცდაათი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში;

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა შესრულებული სამუშაოს აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 მომსახურეობის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურეობის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი გოგი აბუაშვილი.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
მცხეთის მუნიციპალიტეტი

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7
ს/კოდი: 236094196
სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000
მცხეთის მუნიციპალიტეტი
გამგებელი

გ. გიუტაშვილი

მიმწოდებელი

შპს სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი „ეკოტექნოლოგია"
მის: დიღმის მასივი მე-5 კვარტალი მე-20 კორპ.ბ. ‹
ს/კოდი:202326777
სს „თი ბი სი ბანკის"
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი:TBCBGE22
ა/ა GE20TB1157236080100001
დირექტორის მოადგილე პირი

ზ. ციხელაშვილი
ტელ: 579 94 11 32